საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წერილი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში

ქალბატონო ელჩო,

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სახელით გვსურს, გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის თანამდებობაზე მუშაობისთვის და იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც საქართველო და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება დიდი გამოწვევების პირობებშიც ყოველთვის ვგრძნობდით ამერიკის შეერთებული შტატებისგან და პირადად თქვენგან.

თქვენი ელჩობა საქართველოში ტრაგიკულ და ისტორიულ მოვლენებს დაემთხვა, როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი თქვენი ურყევი მხარდაჭერა, ჩვენს მადლიერებას იმსახურებს და საქართველოსთან მეგობრობისა და ნამდვილი სტრატეგიულ პარტნიორობის მაგალითს წარმოადგენს. თქვენი მტკიცე პოზიცია ევროპული სახელმწიფოების ოჯახში საქართველოს დაბრუნების მნიშვნელობის თაობაზე, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციის დასრულების აუცილებლობაზე,

რუსეთზე დაწესებულ სანქციებთან დაკავშირებით სიფხიზლის საჭიროებასა და აშშ-საქართველოს თანამშრომლობის სიმტკიცეზე საქართველოს უსაფრთხოებისა და დემოკრატიული მისწრაფებისადმი თქვენს ურყევ ერთგულებაზე მიანიშნებს. თქვენი გზავნილი ჩვენი თანამემამულეებისადმი, მივიღოთ აქტიური მონაწილეობა საარჩევნო პროცესში, პირდაპირ ეხმიანება ჩვენს დემოკრატიულ მისწრაფებებს, რასაც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება მტკიცედ იცავს.

პოლიტიკურად მოტივირებული შეურაცხყოფისა და კრიტიკის მიუხედავად, თქვენი მოთმინებით სავსე პასუხები ხაზს უსვამს აშშ-საქართველოს მრავალწლიან პარტნიორობას და წარმოაჩენს დეზინფორმაციისგან მომდინარე საფრთხეს.

ქალბატონო ელჩო, საქართველოს კულტურისა და ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და ევროპული მომავლის მისწრაფებებისადმი ღრმა პატივისცემა, ისევე, როგორც თქვენი გულმოდგინე სამსახური, მხარდაჭერა და ჩვენი ქვეყნის, მისი მოქალაქეებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ერთგულება, ფასდაუდებელი იყო.

დარწმუნებულები ვართ, რომ თქვენი ელჩობის პერიოდში შექმნილი კავშირები გაგრძელდება და გაღრმავდება.

ღრმა პატივისცემით და მადლიერებით,

- Europe-Georgia Institute (EGI)

- Human Rights Center (HRC)

- Democracy Index - Georgia (DIG)

- Georgian Court Watch

- International Society for Fair Elections and Democracy (ISFED)

- Georgian Young Lawyers’ Association (GYLA)

- Civic IDEA

- Media Development Foundation (MDF)

- Open Society Georgia Foundation (OSGF)

- Women Engage for a Common Future (WECF) - Georgia
- Democracy Defenders Georgia
- Kvemo Kartli Media (QvemoQartli.ge)
- Guria Civic Center
- ProActive Group Georgia
- Civic Movement for Freedom
- Femina
- Franklin Club
- Georgia's Future Academy
- Reforms and Research Group (RRG)
- New Agora (NA)
- World of Tolerance (WT)
- CDD - Center for Development and Democracy
- EuroClub Kvareli
- Movement "The future of Chiatura"
- Civic Initiatives and Innovations Center (CIIC)
- Active Civic Initiative (ACI)
- Public Movement "YouCreator"
- Endowment "ProDemos"
- SECTOR 3 - Hub for Development
- Civic Initiatives and Innovations Center (CIIC)

- Movement "The future of Chiatura"

- EuroClub Kvareli

- Public Movement “Chiatura of the Future”

- Eco Club Chiatura

- Democracy Research Institute (DRI)